



ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა უმრავლესობას სჩადიან მუქთახორები.

— ამ ლანირაებს თამბაქოს ღვევა, ღვინის სება, მანქანის ჟურღოვა, სულიზნობა, გინება ვასწავლეთ და მაინც ვუპითხვორასან და უსაქმურს მიჰაბნინან.

ქიხიხის მაცხოვრებელი




საუკუნის ხუმარას
რა ცხვირ-პირში შევიხლი?!
სრულხმოვნებით თუ არა,
მოგახსენებ ჩემი ხმით:
დეკადანსი აშკარად
გაძვრა ჭუჭრუტანიდან,
პოეტების ლაშქარი
თავს კარგად გრძობს ამინდთან.
ოდნავ ფარგლებს გასცილდა
ცნება რეალიზმისა,
შინებებით გაცვითა
დისონანსი კრიზისმა.
გასჩენიათ წიები
დაჩენილ ეპოლეტებს!
ისევ ყფენ ტყვიები —
ეძახიან პოეტებს!
შენს დღეებში ბაღდათში
ბაღდადური იცეკვებს,
თუმც ახვედნენ ნაღდს ნაღდში,
მე ჩავთვალე სიცელქედ.
არცა ტკბილი მეგრული,
არცა დინჯი რაჭული, —
შენია ყაზბეგური!
შენია კრიმანჭული!
ყველას თავის საქმე აქვს —
ხაბაზებს და ხარაზებს,
ვინ გამოდგა დამკვრელად —
დაფზე და ნაღარაზე?!
და რომც გადაიროს
სისხლში ყფით მორალის,
ლაშქების გათევით,
კომკავშირულ მილიონს
აბარია მომავლის
ლაყუჩებით დათრევა!
ჰოი, რა წვა-წვანებით
დავგმე მანანნალები!
მივახალე არაყი,
ისე, ვით ქვასანაყი!
არა ყრია არაყში
ის, რაც ყრია ღვინოში!
ბაღდათური მალაყი...
და შევრეკე რიონში.
აქ ვინც განინმინდება, —
მთელი ეშხით სჭირდება
რესპუბლიკას მისას,



თუ არა და — მტრისას!
დღეს ინტელიგენციას
სხვა ინტიმით შეცვლიან,
პატივცემულ ქართველებს
ჭიქას ჩამოართმევენ,
ცეცხლს მისცემენ საფრქვევად,
ქართველი რის ქართველია —
აქაც რჩება ქართველად!
თუ ესაა სიკეთე —
უფლება გაქვს,
გვარი გადაიკეთო!



უფლება აქვს აჯოევს
დადიანი გახდეს! —
მნიშვნელობა მაინც,
არა აქვსო ტახტებს!..
თორემ ისე, უსათუოდ,
ქურთმა ქურთი უნდა შვას,
რუსმა — რუსი,
ქართველმა კი —
თავის ერთი უღვაშა!
თუმც არავინ არ იწუნებს
ულამაზეს მულატებს,
მაინც ვაშა, ვინც თავის შვილს
თავის ერს მიუმატებს!



ჩვენ სუყველა
ერთნაირად ვეფერებით,
ნაირნაირ რეფერენებით!
რამდენ ვინმეს არ ნახავ —
გულდღედალს და გულად კაცს!..
გულში ხომ არ დამარხავ, —
რალაცა რომ უნდა თქვა?!
იმ რალაცას
ახლავე
გეტყვი და „მოგახარებ“:
ზოოპარკის უფროსმა
მათი წილი ულუფა
დაურიგა მხეცებს!..
გააკავეს უფროსი —
ტვინი გაურეცხეს!..
კომისია დაასხეს, —
პირში ისე უძრახეს!
თავზე ლაფი დაასხეს,
„ანტიპოდი“ უძახეს!
მერე ვეფხვიც მონამლეს!..
შველი ნახეს პირქვე!..
იქვე გახლავთ მონამე,



მომნამვლელიც — იქვე!
გაქრა ორანგუტანი! —
იუნყება „გრუზტაგი“!
რამდენ რამეს არ ნახავ, —
გულში ხომ არ დამარხავ?! —
მსახიობი გაძარცვეს!..
დედას შვილი გასტაცეს!..
კიდევ ბევრი ბაცნური
საქმე არაკაცური,
საქმე დებილ-კრეტინთა —
გასადენი კეტითა!
არის დანის ტრიალი!..
ჯახაჯუხი ნაჯახთა!..
იქ სოფელი აჯანყდა!..
აქ ქარხანა აჯანყდა!..
თვითონ, თვითონ
ხელთ აიღეს ნაჯახები,
მერე დასჯა მოითხოვეს
ყაჩაღების!..

შენ — ნამუსის მედროშეც —
ეგ დროშა არ დახარო!
გული გიხმობს მეტროში!
გიხმობს შენი მაღარო!
ყანა გასამარგლია!
მერანს ელის მხედარი!
ერი შენი თარგია,
შენი სულის დედანი!
შენს ოფლსა და
შენს გარჯას
მუქთახორა რითა სჯობს?!
თუ გინდა, რომ იცოცხლო, —
ცოტა უნდა იტანჯო!
შენთვის გაუგებარი
არის ყველა ნელკავი!
ამარჯვების გვირგვინში
ურევია ეკალიც!..
მოსდება მოსახდენი,
იქნებ, — ხარჯზე ნეკნების!
ხარჯზე მტერის — ულმოზლის!
შენ ხარ ნაღდი საყრდენი,
შენ ხარ ნაღდი ბერკეტი,
ერის ეროვნულობის!





საქმის ჩანჩუკი

6. ა. მ. აბაშიძისა



— მამაშენს ჯერ სათამაშო მანქანა უნდა ყუი-
და შენთვის!
— მამას გამიგადავდა სწორედ!



— ვერ მიმანსავლი ჩემი „პოლკის“ გზას?!

“დიდი კასის” ნათესავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სუზრა ე შხ ში შევიდა. დაცლილი ყანწები თამადამ თავზე ისე წამოისკუბა, მის წინ ლამაზი გარეგნობის მამაკაც-თან მჯდომ მისსავე მეუღლეს ეგონა, ჩემს ქმარს ნამდვილად რქები ამოსვლიათ!

დაწესებულების დირექტორს თანამშრომლები და ახლობ-ლები ორმოცდაათი წლის იუბრეს უხდინენ! მე, როგორც მძლოლი, ერთ-ერთ სტუმართაგანს ვახლდი და ბედნიერება მხვდა, ჩემი „ხაზინის“ გვერდით მოვხვედრილიყავი სუფ-რახე.

ლიმონათის სმით შეწუხებულმა, ვითომც შეცდომით, ერთი ჭიქა კონიაკი დავლიე. ეს ის დრო იყო, თამადა რომ უკვე მერამდენად სვამდა იუბილარის სადღეგრძელოს. შევყურებ-დი, თუ როგორ სახეგაბრწყინებული შესცივინებდნენ დირექ-ტორს თანამესუფრეები, და უნებურად გავიფიქრე, — რა იქ-ნებოდა, ეს კაცი ჩემი ახლო ნათესავი იყოს-მეთქი?! ამ ფიქ-რებში ერთი ჭიქა კონიაკი კიდევ შემომეცალა! ხუთვარსკვლა-ვიანმა მალე გასჭრა, ენის წვერზე ბაქიაობს ეშმაკი ამიციკ-ვდა და მე, მიუხერხულემა გითხრათ, მაგრამ... წამოვდექი ფეხზე, ავიღე ჭიქა: — ბატონო ნესტორ კალისტრატოვიჩ (აუფრასთან გავიგე მისი სახელი და მამის სახელი), მინდა, გად-ლეგრძელოთ მთელი სულითა და გულით! ვიცი, აქ მყოფი საზოგადოება პირფერობად არ ჩამითვლის: როგორც თქვენი ახლო ნათესავი, გისურვებთ, მრავალ წელს სიცოცხლეს ჩვენ-და გასახარად!

უკანასკნელი სიტყვები ტამა დაფარა. ჩემი „ხაზინი“, რომელიც პურის ჭამასაც არ კადრულობდა ჩემთან, ოც-წლის უნახავი მეგობარივით გადამეხვია! ყველა მე შემომ-ცქეროდა! დირექტორმაც შემომხედა, გაიხსენა ნათესავთა პლეადა, როდესაც ვერც ერთს ვერ მიმამსგავსა, თვალის კაკ-ლები გადაატრიალა და ძალაუხერბურმა ღიმილმა მიქნარებისა-გან დაღლილი ბაგე გაუპო.

მაგილის წვერები, რომლებიც აქამდე ყურადღებას არ მაქ-ცევდნენ, ახლო მომიჩოჩდნენ. ერთმა კი საიდუმლოდ გამან-დო: — ჩვენი დირექტორი თქვენსავით მძლოლი იყო, მერე ვილაც დიდი კაცი გამოუჩნდა ნათესავი და დაწინაურეს, ვინ იცის, იქნებ, თქვენც ეგ ბედი გქონდეთო!

მეორე დღეს სადისპეტჩეროში საგზურების ასაღებად რომ მივედი, ჩურჩულს მოვკარი ყური: „თენგიზი კალისტრატოვი-ჩის ახლო ნათესავი ყოფილა!“

ერთ მშვენიერ დღეს ავტობარკში დისპეტჩერად დამსვეს. სამუშაოს გული დავუდე, ხალხს გავეცანი და მალე პენსიაზე გასული ავტოსატრანსპორტო კანტორის დირექტორის პოსტი დავითრე. აქ კი წერტილი დავუსვი ჩემს აღზევებას, რადგან ქალაქდომანიაში წერტილ-მძიმეებისა ბევრი არაფერი გამე-გებოდა. ისე კი, სხვა დავიბოხე, მამის სახელი შევიცვალე, რადგან რუსულად კარგად ვერ ჟღერდა!

გავიდა წლები. ძველი კადრები ახლებმა შეცვალეს. ერთმა ჩვენმა მეგობარმა მითხრა: ის შენი ნათესავი კალისტრატოვი-ჩი მოხსნეს და, მგონი, ახლა უმუშევარიათ!

არ გამიკვირდა. არც ის გამიკვირებია, კალისტრატოვიჩი რომ ერთი საათი ვალოდინე მოსაცდელში და მერე სალაშხე, „როგორც წესი“, არ ვუპასუხე. უფრო სწორად, ქალაქდები-დან თავი არ ამიწევია და ყურმილშიც ტყუილად ვილაცა გავამტყუნე. თავი რომ ავწიე და კალისტრატოვიჩს შევხედე, სადღა იყო ყოფილი დირექტორი? — მხოლოდ ლანდი დარჩე-ნილიყო! ძლივს გავიგონე მისი ჩურჩული: ჩვენ, მგონი, ახ-ლო ნათესავები ვართ, დღესდღეობით უმუშევარი ვარ და. იქნებ, დამეხმაროთ, როგორმე თქვენთან დისპეტჩერად მოვე-წყო, მე სომ პროფესიით მძლოლი ვარო?!

შუანავი წყარუაზვილი

დასაწყისი

თავის ნიჭს და უნარს
უკვე ყიდის ბავშვი! —
გვართმევს წითელ თუმანს
ერთი ლექსის თქმაში!..

და, როცა ლექსს იტყვის,
ყველა ერთხმად ლოცავს!..
რას მოითხოვს იგი,
გაიზრდება როცა?!



ჩანაწერები



— შენც გასასღრმად მოხვალდი?
— არა, თქვენსავით გასასუქებლად!

1982 წლის 13 მარტი.

მარტი და ისიც ცამეტი?! სწორი ბრძანდებით, ნამეტანი თარსი გამოდგა იგი: თიანეთში სტუმრად ჩასულს საშუალება არ მომეცა, მენახა ერთი განმარტებული სატელევიზიო გადაცემა, რადგან რაიონის სოფლებში, თურმე, ტელეგამოსახლება ცუდია და ხმა — კარგი: თუმცა ვტყუი! — ყველა სოფელში როდი ყოფილა ასე! მაგალითად, ლუგლებში პირიქითაა — გამოსახლება გადასარევიია, ხმა — ჩიფჩიფა!..

სალამოს გვარიანად დაუშვა კოკისპირული და მასპინძელს გულს შემოეყარა (იგი რაისაბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორია): ხეალ აღმასკომის სხდომაა და ახალ-სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ვერ დაესწრებაო! რატომ, ავადაა? — ჩავედიე. ავად კი არა, მდინარე საგამზე ხიდი ვერა და ვერ ააშენა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ (საამისოდ მის რვა წელიწადიც არ ეყო!) და თავმჯდომარემაც რა ქნას — ცივ მდინარეს მხარულით ხომ ვერ გამოტოპავსო?!

ეს კიდევ არაფერი. მაგრამ, რაც მეფრინველეობის ფაბრიკაში გვიტარეს, პირდაპირ საისტორიო საქმეა (დირექტორი, სხვათა შორის, მართლაც ისტორიკოსი ყოფილა!): ამას წინათ 2000 დედალი გაუდგა მოუსავლეთის გზას და გევმას იმიტომ ვერ ვასრულებთო! რა დაემართათ, ჭირმა დახოცა-მეთქი?! — ვინ შეკითხებოდა სტუმარ კაცს, მაგრამ ენამ წამძლია. არაო, კვერცხს ვერ ღებდნენ და იხოცებოდნენო!..

რედაქციისაბან: ნიანგმა უცნობი უურნალისტის ამ ჩანაწერშიც ვერ აღმოაჩინა ამოცანა-გამოცანა, აღბაო. იმიტომ, რომ ამოსაცნობ-გამოსაცნობი ამ სამ ფაქტში არაფერია, ყველაფერი ნათელია — უყურადღებობის (თუ მეტი არა) შედეგია სამივე!

ურაკები

- **ოჯახის** იქით რომ ვერაფერს ხედავდე, აუცილებელი როდია ახლომხედველი იყო!
- **სახლში** თუ სხვა ხარ და გარეთ — სხვა, ვერ გაგამართლებს გამოთქმა — ამქვეყნად ყველაფერი ცვალებადიაო!
- **თუ** ხალხს არ უსმენ — ყრუ ხარ, თუ ხალხი არ გისმენს — მუნჯი!
- **დედა** ნახე, მამა ნახე... მაგრამ ისიც ნახე, ვისაც ირთავ!
- **უსაფუძვლო** ეჭვიანობა საფუძვლიანი სისულელეა.
- **გავშვს** რომ ლაპარაკი ასწავლო, ლაპარაკი უნდა იცოდე!
- **ქალხი** მიცვალებულს ვერ აცოცხლებს, თორემ ჭირისუფლებში დიდი გამოცოცხლება შეაქვს.
- **ზოგიერთმა** ექიმმა რომ ნაღძობი ხელი გაგიმართოს, შენც უნდა გაუმართო ხელი!
- **რაპატიტორისაბან** აბიტურიენტი, უპირველეს ყოვლისა, ფულის გაცემას სწავლობს.
- **პატივგაზი** ვერავის არჩენს, ცოლ-შვილის გარდა.
- **ნუ** იტყვი ზოგიერთზე: სამსახურში არაფერს აკეთებსო! ფულს ხომ აკეთებს?!
- **ქრთმად** მიტანილ კარგ სუნამოსაც ცუდი სუნი უდის.
- **იმახ** იტყერენ, ვისაც თავის დაჭერა არ შეუძლია.
- **ცილისგანაგაბალი** ცილისმწამებლობა. საც კი დაგწამებს!
- **საპუთარ** თავზე რომ კარგი ილაპარაკო, სულ არ უნდა ილაპარაკო!

გიორგ ჯარნაძე



— ეს რატომ არ გაპარსათ?
— მაგას, ბატონო, საღვთალონკად ვინახავთ!

მითხარი, ჟინ არის უენი ჯარი და...

ჯონ ლუის-უ მ ც რ ო ს ი — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ინგლისში „მხოლოდ იმის გამო გახდა კაცი, რაკი ავეჯის ლაქის ფაბრიკანტა დინასტიას ცუთუნის. მისი ერთადერთი დიპლომატიური განსწავლულობა ინგლისური ენის ცოდნაა“. ელჩი საფრანგეთში ევან გელბრეტი „ლაპარაკობს ფრანგულად და არის საფრანგეთის ახლანდელი პრეზიდენტის დაუძინებელი მტრის უსიკარ დესტინის მეგობარი“. ელჩი იტალიაში მაქსველ რები — „ცნობილი“ ადვოკატია, რომელმაც იტალიური ენა არ იცის“. ელჩი მექსიკაში ჯონ ჰეივინი „პოლიველდის მსახიობია, თუმცა მთლად კარგი ვერა“.

ვაშინგტონის ახალგაშობილები ამ დიპლომატიური ემისრების ეს გესლიანი დახასიათებანი ცუთუნის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ვეტერანს, უოფლ ელჩს სსრ კავშირში — მალკოლმ ტუნს. უორნა „ფორინ სერვის ოფისში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ტუნი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტი რეიგანი უმალდეს დიპლომატიურ პოსტებს სინეკურებად იყენებს თავისი მეგობრებისა და იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მას მატერიალურად უჭერენ მხარს.

გამარჯვებული პრეზიდენტის მომხრეთა ელჩებად დანიშვნის ტრადიცია, თუნდაც ისინი აბსოლუტური პროფანები იყვნენ დიპლომატიაში, რასაკვირველია, ახალი რამ არის შეერთებულ შტატებში. მაგრამ რეიგანი ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობს. ასე, მაგალითად, თუ მისმა წინამორბედმა ჯ. კარტერმა თეთრ სახლში უოფლის პირველივე წელს უმალდეს დიპლომატიურ პოსტებზე დანიშნა 40 პროცენტი არაპროფესიონალი, რეიგანისათვის 100-დან 48 ელჩის დანიშვნისათვის საკმარისი აღმოჩნდა ნებისმიერი მოსაზრება, ოღონდ არამც და არამც დიპლომატიური სფეროდან.

პო, მაგრამ როგორ იქცევიან ის მთავრობები, რომლებსაც ვაშინგტონში პატვი სცა ჰეივინის მსგავსი საგანგებო და სრულფუნქციონირებელი ელჩებით? როგორც უორნალი „ტაიმი“ იუწყება, ერთმა მექსიკელმა ოფიციალურმა პირმა წამოაყენა წინადადება საბასუროდ ვაშინგტონს მიავლინოს კოლიკოხი კანტინფლასი. მაგრამ შემდეგ მექსიკოში გადაიფიქრეს, რადგან სამართლიანად მიიჩნიეს, რომ ცნობილ მსახიობს „საეჭვო იყო, საერთო ენა გამოენახა თეთრი სახლის პატრონთან“, რადგან თვით ამერიკული პრესის შეფასებით იგი (რეიგანი) მხოლოდ და მხოლოდ „შეორებარისხოვანი მსახიობია, სახელმწიფო მოღვაწის როლი რომ თამაშობს“. პოდა, ჯერ კიდევ ძველი ელადის დროიდან არის ცნობილი, რომ თალიას — კომედის მუზის — უნიჭო მსახურნი მინცდადამინც არ წყალობდნენ თავიანთ ნიჭიერ თანამომეტ.

„ზა რუბეშომ“

ნიანგს უასუსეპენ

აუსაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო:

„ნიანგის“ 1981 წ. მე-19 ნომერში, სათაურით — „გულახდილი საუბარი გულისამარწყვებულ საკითხებზე და „უფონდო ფონდიანები“ („ნიანგი“ გალის რაიონში“) დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნები გალის სანესჩვეულებო კომბინატისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშაობის შესახებ — შემომწებით დადასტურდა.

გალის სანესჩვეულებო კომბინატის დირექტორი ნ. ქარდავა მკაცრად იქნა დასჯილი.

დაისაჯნენ აგრეთვე ჭუბურხინჯის და აჩიგვარის რკინის ნაკეთობათა შესადულებელი საამქროს ბრიგადირები ნ. ხორავა და შ. ჯონჯოლია საქვითრო სისტემის დარღვევისათვის.

აღნიშნული წერილები განიხილეს გალის სანესჩვეულებო კომბინატისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს გაერთიანებულ კრებებზე. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო:

„ნიანგის“ მე-19 ნომერში სათაურით — „ნიანგი შეასენებს“ („ნიანგი“ გალის რაიონში“) გამოქვეყნებული კრიტიკული შენიშვნა გალის სამგზავრო ავტოსანარმოს ტიპობრივი ავტოსახელოსნოს მშენებლობა-მონტაჟის გაჭიანურების შესახებ, სინამდვილეა, ავტოსახელოსნოს მშენებლობა მართლაც 1968 წელს დაიწყო. იგი გაჭიანურდა მოიჯარადრე ორგანიზაციის — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მე-6 ტრესტის მიზეზით. 1979 წელს აფხაზეთის სატრანსპორტო სანარმოო გაერთიანების ძალებით შესრულდა სხვადასხვა სამუშაო, რამაც შესაძლებელი გახადა ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ამჟამად მიმდინარეობს სახელოსნოს საამქროების კეთილმოწყობა.


საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაი“:

„ნიანგის“ მე-19 ნომერში („ნიანგი“ გალის რაიონში“) დაბეჭდილი კრიტიკული შენიშვნა ოქუშის ჩაის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლების შესახებ — სინამდვილეს შეეფერება.

აღნიშნული სახლები სიძველის გამო ჩამოწერილია საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და, შესაბამისად, გალის სანარმოო გაერთიანების ბრძანების საფუძველზე.


რაც შეეხება ბარდების ჩაის ფაბრიკის გაფართოების საკითხს, 1981 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად მისი სიმძლავრე 3,6 ათასი ტონით გაიზარდა.

აღნიშნულ წერილში დასმულ საკითხებზე „ნიანგს“ პასუხი არ მიუღია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან და ცეკავშირის გამგეობიდან.



ანაკომიური სურათი

ნახ. ა. ოპროპირიძისა



უსიტყვოდ

7-82

82-388

ნახ. გ. ფირცხალაშვილი



საბრძოლო და რევოლუციური
ჟურნალი „ნიანგი“
№ 11 (1621) ივნისი
ბათუმის 1923 წ. ივნისიდან.

**მთავარი რედაქტორი
ჯანუარ ბოლქვაძე**

**სარედაქციო
კოლეგია:**
ვახუა ამირეჯიბი,
ნოზაძე ბარბაქაძე,
ბორის გურგულიანი,
ნოდარ დუმბაძე,
რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლაშვილი,
ნოდარ მაღალაშვილი
(შხატავარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სახმურია,
ვახუა სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფირცხალაშვილი,
ჯანუარ ბარბაქაძე,
თამაზ წიგნაშვილი,
ვახუა ვანიშვილი
(შთავარი რედ. მოადგილე),
ნაზი ჯუსოიძე.

**ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი**

გადაცემა ასაწივად
5. 5. 82 წ.
სალომონიანი დასაბამად
9. 6. 82 წ.
ქალაქის ზომა 70x100
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 1
სააღრიცხვო-საბანოებო
თაბანი 1,7
საქართველოს კვ ცვ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. №14,
თბილისი № 1177 უკ 06300
ტირაჟი 148.950.
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: — შთავარი
რედაქტორის — 99-55-54, შთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42.
პ/მგ მდივნის — 93-10-78, შხა-
ტავარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეობის —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკ-
ის — 99-02-38, მდივანი-მემა-
ნის — 99-76-69.

**Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, ул.ица
Ленина № 14.**

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137



82-388

— ერთი ახალი ქალაქის და რესტორნის წლიურ გეგმა-
საც შევასრულეთ!

